

რატომ აღკვეთავდა ეკლესია ლოთობისგან იმ გარდაცვლილთათვის წესის აგებას, რომლებმაც ვერ მოასწერეს მონაწილეობა? ამას ზოგიერთნი იმით ხსნიან, რომ სისტემატური სმა ნელი თვითმკვლელობის სახეა. ვფიქრობთ, ეს მთლად ასე არ არის. ასეთი მიდგომით ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ზედმეტობისაგან უძღურდებიან, ღორმუცელა, რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანო საკვებს იღებს, ასევე თანდათან იმოკლებენ სიცოცხლეს; აგრეთვე პოტენციურ თვითმკვლელად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც მაღალი ანაზღაურებისთვის მძიმე და მომქანცველ შრომას ეწევა. მაშ რატომ არ ეუბნება ეკლესია მათაც უარს ქრისტიანულ დაკრძალვაზე? პავლე მოციქული პირდაპირ წერს: „ლოთი ვერ შევა ცათა სასუფეველში“. ჩვენ გვეჩვენება, თავად სიმთვრალეშია რაღაც დემონური ძალა. არსებობს სამი სამყარო: 1) უმაღლესი – სულიერი, ზეციური ეკლესია; 2) მიწიერი – მატერიალურ-სულიერი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით; 3) ჯოჯოხეთი – დაცემულ ანგელოზთა და იმ ადამიანთა ქვეყანა, რომლებიც ცოდვების გამო ეშმაკებს ემსგავსნენ. ჩვენ ანგელოზებისა და დემონების სამყაროთა გავლენას განვიცდით, მაგრამ ჩვენი სხეულის მატერიალურობის გამო ვერ ვხედავთ მათ, თითქოს უხილავი კედლით ვართ მათგან გამოყოფილი. წმინდანები, ღვთის მადლით, გარდაცვალებამდე ჭვრეტდნენ სულიერი სამყაროს კარიბჭესა და აჩრდილებს, აოცებდნენ მათი სიდიადე და სიმშვენიერე. დემონის ადებტები კი ისეთ მდგომარეობამდე მიდიან, რომ დემონურ სამყაროს ხედავენ და ურთიერთობენ მასთან. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იმ ადამიანის სული, რომელიც ქრონიკული თრობის მდგომარეობაშია, მუდმივ ურთიერთობაშია დაცემულ სულებთან და თავადაც ეშმაკს ემსგავსება. ლოთებს გამოთქმაც აქვთ ასეთი: „დავთვრეთ – ეშმაკებს ვემსგავსოთ“ („ლოპიტსია დო ჩერტიკოვ“). ეს მხოლოდ შედარება კი არა,

დემონური გამოცდილებაა. მეტი დემონური ძალა აქვს ნარკოტიკს. შემთხვევითი არაა, რომ თბილისის მოწვევა ფართოდ იყო გავრცელებული ჩინეთში – ქვეყანაში, სადაც თავყანს სცემენ დრაკონს. ნარკომანის ოცნებაა, შეიჭრას დემონურ სამყაროში და ჭვრეტდეს მას. ინდოელი ბრამინები იყენებდნენ რიტუალურ მათრობელა სასმელს – „სომას“. ინდიელი შამანები – ჰალუცინაციის გამომწვევე შხამიან სოკოს. ზოგიერთი ორდენის დერვიშები თავიანთი ექსტაზური ცეკვის წინ ნარკოტიკებს იღებდნენ. ასე რომ, ნარკომანია, დღევანდელი დღის ჭირი, დემონად ქცევის საშუალებაა. ადამიანის სული სიცოცხლეშივე ეშვება ჯოჯოხეთში. ნარკომანი, ისევე როგორც ლოთი, თავს ეკლესიისგან განიშორებს; თუ იგი მოუნანიებლად გარდაიცვალება ნარკოტიკებისაგან, ვერ დაიკრძალება ქრისტიანული წესით. ამ ქმედებით ეკლესია ადასტურებს, რომ ვეღარაფრით დაეხმარება მათ. ნარკოტიკის სუსტი სახეობაა თამბაქო, რომელიც ინდიელთა წარმართული მაგიისაგან გვერგო მეძვედრეობით. წარმართები სულების გამოსაძახებლად წრეში სხდებოდნენ და ხელიდან ხელში ურჩხულის გამოსახულებიან უზარმაზარ ჩიბუხს გადასცემდნენ. ეს წრე სპირიტების წრეს ჰგავდა, რომელიც მედიუმს გარდაცვლილთა სულების სახით გამოცხადებული უხილავი ძალების სიგნალების ჩაწერაში ეხმარებოდა. მოწვევა ჰგავს თითქოსდა მსუბუქ ნარკოტიკს. კბილებში გაჩრილი პაპიროსით იწერებოდა ანტირელიგიური წიგნები. ბანაკთა ტუსალები იგონებდნენ, რომ დაკითხვების დროს გამოძიებლები შეუჩერებლად ეწეოდნენ. ესე იგი არის რაღაც კავშირი თამბაქოსა და ადამიანის მდგომარეობას შორის. ზოგიერთ ტადარში კომუნისტები არა მარტო ესროდნენ ხატებს, არამედ შეურაცხყოფისათვის წმინდანთა დაცხრილულ სახეს პაპიროსს ჩრიდნენ. მორწმუნეთა დაპატიმრების დროს „გეპეუსა“ და „ჩეკას“ თანამშრომლები

დაცინვით უკიდებდნენ პაპიროსს კანდელიდან, რომელიც წმინდა კუთხეში ენთო. არ შევცდებით, თუ თამბაქოს ეშმაკის „საკმეველს“ ვუწოდებთ, ხოლო ჩიბუხს ან სიგარეტს – ბნელი სულების „საცეცხლურს“. ზოგიერთი მწვეველი მორწმუნე ამბობს, რომ სარწმუნოებასთან მიმართებაში წვევა ნეიტრალური ქმედებაა. განა ასეა? განა შეუძლიათ მათ დადგენენ სალოცავად და კბილებში პაპიროსგაჩრილებმა პირჯვრით ნათელი იფინონ? სული გვიკარნახებს, რომ მოწვევა და ლოცვა ერთმანეთთან შეუთავსებელია; მაგრამ ლოცვა ხომ ადამიანის მუდმივი მდგომარეობა უნდა იყოს? განა შეიძლება იესოს ლოცვის წარმოთქმა ბოლის ჩასუნთქვითა და მისი გამოშვებით? მოწვევა ფართოდ გავრცელდა მთელს მსოფლიოში და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ინდიელ წარმართებში მხოლოდ კაცები ეწეოდნენ, ჩვენ ვაჯობეთ, ჩვენში, ქრისტიანებში, ქალებიც ეწევიან. საგულისხმოა, რომ თამბაქოს წვევამ მსოფლიოში XVI საუკუნეში იწყო გავრცელება და სულიერი ღირებულებების გაუფასურების პერიოდს დაემთხვა. და მაინც, ადამიანის სული რაღაც ღრმა ინსტინქტით გრძნობს, რომ მოწვევა ეშმაკისეულია, თვით გამოუსწორებელ მწვეველშიც კი სიგარეტისანი მღვდელი ზიზღსა და სიძულვილს იწვევს. ალკოჰოლი, ნარკოტიკი და თამბაქო, ზოგიერთი მსგავსების მიუხედავად, ადამიანის ორგანიზმზე რამდენადმე განსხვავებულად ზემოქმედებენ. თამბაქო აჩლუნგებს სულიერ ძალებსა და რელიგიურ ინტუიციას. იგი ავიწროებს ადამიანის გონების მოქმედების არეს ისე, თითქოს მისთვის ცნობიერების უმაღლეს სართულებს ახშობს. შემდეგ, მოწვევა აჩლუნგებს ზნეობრივ გრძნობას. მწვეველს უძვირდება სინდისის ქეჯნა. ამ მიმართებით თითქოს ისპობა უთანხმოება მარადისობისკენ მიმართულ სულსა და ვნებებით აღვსებულ სულს შორის, სინდისის მოთხოვნილებასა და ცხოვრების წესს შორის,

მოვალეობასა და ცოდვას შორის: მწვეველისთვის საკუთარი არსება მისაღები ხდება არა ისეთი, როგორც უნდა იყოს სახარების მოთხოვნის მიხედვით, არამედ ისეთი, როგორც არის, - თავისი სისუსტეებითა და ვნებებით. თამბაქოს შხამისაგან, უპირველეს ყოვლისა, მისი სულიერების ის ნაწილი ზიანდება, რომელსაც სული ჰქვია - სული მთვლემარე მდგომარეობაში იძირება, მაგრამ სულიერების ძალები უმდაბლეს ფენებში მოქმედებენ. ამგვარად, თამბაქო – სულის ნარკოტიკია.

აღკოპოლი, თრობის ხარისხების მიხედვით, რამდენადმე განსხვავებულად მოქმედებს. იგი არა მხოლოდ აზიანებს სულს, არამედ შეჰყავს სამშინველი მსუბუქი ილუზიების მდგომარეობაში, როდესაც ის სამყაროს შეცვლილი სახით, თითქოს მრუდე ლინზეებში ხედავს. ამ დროს ხდება ადამიანის აზროვნებითი მესხიერების და შემოქმედებითი ძალების ჩახშობა. მთვრალ მდგომარეობაში ადამიანი დიადსა და ბრწყინვალეს ვერაფერს შექმნის, მას მხოლოდ დასახინჩრება და ნგრევა შეუძლია. ამიტომ სიმთვრალე ზშირად უმიზეზო, უმიზნო აგრესიით, დემონური იმპულსებით – ანგრევდეს და ანადგურებდეს – ვლინდება. სიმთვრალეში ასევე ჩლუნგდება ზნეობრივი გრძნობა, განსაკუთრებით – სირცხვილის გრძნობა, და თავს აიშვებენ ცოდვებისაგან მეტად დაზიანებული სულიერი ძალები.

რაც შეეხება ნარკოტიკს, აქ საერთოდ, იკარგება თვითშეგნება, ითრგუნება სულიერი და მშინვეერი ძალები. ნარკოტიკების მიღებას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ჰალუცინაციები, ამასთან ხდება თავისებური ანესთეზია. ადამიანი ვერ გრძნობს სხეულებრივ ტანჯვასა და ტკივილს, შიმშილსა და დაღლას. ზნეობრიობის გრძნობა უფრო მეტადაა დაზიანებული, ვიდრე თრობის შემთხვევაში. შემოქმედებითი ძალები უმართავი წარმოსახვითობით, ან, თუ გნებავთ, დემონური სურათების ჭკრეტით იცვლება, რომლებიც კინოკადრების მსგავსად ცვლიან ერთმანეთს.

ადამიანი ცოცხალ გვამს ემსგავსება, რომელსაც დემონი, როგორც სცენის მიღმა მყოფი არტისტი – თოჯინას, ისე მართავს. აქ ბნელი სულებისადმი დაქვემდებარების ხარისხი უფრო დიდია, ვიდრე ლოთის შემთხვევაში. ნარკომანის ზმანებები ქოლტური და დაუკავშირებელია, რაც აბსურდის თეატრს ან სიმახინჯეთა გამოფენას ჰგავს. მაგრამ ამ ჩვენებებში ზშირად მეორდება სურათები ჩინური პაგოდებისა, შივასა და ბუდას გამოსახულებიან ინდოელთა ტაძრებისა, რაღაც რიტუალების აღმსრულებელი შამანებისა და ა.შ. ნარკომანი არა მხოლოდ ნარკოტიკებზე, არამედ დემონურ ძალებზეც დამოკიდებული ხდება.

ნარკომანია სატანისტური სექტების ყოფაში შევიდა. აქ ნათლად ჩანს მისი დამლუპველი დემონური არსი. მთვრალობისას ეს არსი ეშმაკის ბრჭყალებივით დროდადრო ვლინდება. მწვეველებთან ამ ბნელი მეტაფიზიკური ძალის მოქმედება შენიღბული და დაფარულია. ხატოვნად რომ ვთქვათ, თუკი ნარკომანი დემონს ხელით უჭირავს, ხოლო ლოთს, როგორც მის დროდადრო მეგობარს, მოინახულებს ხოლმე, მაშინ მწვეველის ბოლში მისთვის უხილავი პატარა ეშმაკუნები დაცურავენ.

(თარგმნა ა. უნგიაძემ)



გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
www.religia.ge



ნე. გეგე

**დავით აღმაშენებლის სახ.
მართლმადიდებელი მრევლის
ქ ა მ შ ი რ ი**



არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)
**ნარკომანების, ლოთებისა და მწვეველების
ურთიერთობა დემონებთან**
(მცირეოდენი შემოკლებით)

მართლმადიდებლური ლიტერატურა,
ვრცელდება უფასოდ (სხვასაც წააკითხეთ)



**პრცა გმტრუმნთ შმნ, სიქაღულთ
ჩვმნთ, მართლმადიდებლობაჲ**